

დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის
„ოპიზარი“ დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს
N74 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების (შემდგომში - საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამები) განხორციელების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯში „ოპიზარი“ (შემდგომში - კოლეჯი) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით.
4. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.
5. კოლეჯის პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას (ტრენინგი/ მასტერკლასები/ განათლების შემდგომი საფეხურის გავლა და სხვა).
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:
 - ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;
 - ბ) რის გამოც ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, დასწრების ოქმებს მოდულის/სასწავლო კურსის შიდა შეფასებისათვის).
7. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საგნობრივი და მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

8. პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს.
9. პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს, რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა შეფასების მეთოდები. ამასთან, უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა შეფასების ინსტრუმენტები/ საგამოცდო საკითხები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს და იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების/დადასტურების საშუალებას.
10. შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს. არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტური და რამდენად დასაბუთებულად არის გადანაწილებული ქულები ან რამდენად ადეკვატურად არის დადასტურებული შესრულების კრიტერიუმები.
11. პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს.
12. განსაზღვრავს რამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.